

სსიპ–საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა – კატალოგი

(ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ)

მისამართი: ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის # 61

ტელეფონი 0431 22 55 62, 0431 23 25 62

ელ-ფოსტა www.kolejiiberia@gmail.com.

ვებგვერდი www.iberias.ge

აგვისტო, 2015

სსიპ–საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

კოლეჯის მისია

“...ჩვენ იმდენად ვართ წარმატებულნი, რამდენადაც ჩვენი სტუდენტები.“ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ არის ჩვენი საზოგადოების ნაწილი, რომლის მისიაც ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებას და წინსვლას, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სტუდენტს ჩამოუყალიბოს პროფესიული უნარ–ჩვევები და ბაზარს მიაწოდოს მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი კადრი; შექმნას შესაბამისი პირობები პროფესიის მაღალ დონეზე დაუფლებისათვის, დაეხმაროს პირს პროფესიის სწორად შერჩევაში, შედეგზე ორიენტირებულ სწავლასა და კარიერული განვითარების გზების ძიებაში; განუწყვეტლივ იზრუნოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევაზე; იყოს კონკურენტუნარიანი ქვეყნის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, აითვისოს ახალი პროფესიები და შეიმუშავოს შესაბამისი პროგრამები.

საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ დაფუძნებულია უძველეს ქართულ საგანმანათლებლო ტრადიციებზე, ევროპული განათლების პრინციპებზე და საზღვარგარეთის მოწინავე კოლეჯებთან ურთიერთობის და მობილობის გზით ხელს უწყობს საქართველოს პროფესიული განათლების ინტეგრაციას მთელ მსოფლიოში.

კოლეჯის მოკლე ისტორია

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ ჩამოყალიბდა 2006 წელს ქუთაისის კერვისა და მოდელირების ლიცეუმის რეორგანიზაციის საფუძველზე, განხორციელდა ამორტიზებული შენობა-ნაგებობებისა და მატერიალური ბაზის სრული რეაბილიტაცია, დაწესებულება აღიჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და მოწყობილობებით. დღევანდელი მდგომარეობით სასწავლებელი დარეგისტრირებულია როგორც სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“.

კოლეჯი ამზადებს სპეციალისტებს აგრარული, ბიზნესის ადმინისტრირების, ინჟინერიის, ხელოვნებისა და დარგთაშორისი მიმართულებების სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

მემცენარე, მეფუტკრე, კონდიტერი, მზარეული, ბუღალტერი, გამყიდველ-კონსულტანტი, ოფისის მენეჯერი, სასტუმრო საქმისმწარმოებელი, სარესტორნო საქმისმწარმოებელი, კომპიუტერული გრაფიკოსი, ინფორმაციული ტექნოლოგი, ელექტრიკოსი, მეფილე-მომპირკეთებელი, მღებავი, თაბაშირმუყაოს სპეციალისტი, გაზომმარაგების სისტემის მემონტაჟე, ზეინკალ-სანტექნიკოსი, ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი, ავტომობილის დიაგნოსტიკოსი, სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ძრავის შემკეთებელი, ავტომობილის ზეინკალი, დურგალი, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი, შემდუღებელი, სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი, საკერავი მანქანის მექანიკოსი, საკერავი მანქანის ოპერატორი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, სტილისტი.

2007 წლიდან კოლეჯს დაექვემდებარა ბაღდათის პროფესიული სასწავლებელი, როგორც ფილიალი. ბაღდათის რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით 2009 წლიდან აღნიშნულ ფილიალში სტუდენტთა სწავლება განხორციელდა მემცენარის, მეფუტკრის და ავტომობილის ზეინკლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. 2013 წლის 4 ნოემბრიდან ბაღდათის ფილიალში სწავლა დაიწყო სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტისა და კომპიუტერული გრაფიკოსის პროგრამებზე.

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

კოლეჯი დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრებით. სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 60 მასწავლებელი, მათ შორის: უმაღლესი პროფესიული განათლებით – 51, სამეცნიერო ხარისხით – 5, პროფესიით მუშაობის 3 და მეტი წლის გამოცდილებით - 4 პედაგოგი. სხვადასხვა სახის ტრენინგი გავლილი აქვს კოლეჯის მასწავლებელთა 98%-ს.

ინფორმაცია სტუდენტების შესახებ

მოთხოვნადი პროგრამების განხორციელების, სწავლების მაღალი ხარისხისა და სათანადო საკადრო პოლიტიკის შედეგად სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად გაიზარდა: 2007 წელს კოლეჯში სწავლობდა 272 სტუდენტი, 2008 წელს – 488, 2009 წელს – 925, 2010 წელს – 1196, 2011 წელს – 1301, 2012 წელს – 1457, 2013 წელს - 1180 სტუდენტი.

ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ

კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების შესახებ ინფორმაცია არსებობს ბაზის სახით, რომელშიც შეტანილია კოლეჯში ჩაირიცხული ყველა სტუდენტის მონაცემი. დასაქმების მაჩვენებელი წლების მიხედვით არის 60-65%.

ურთიერთობა კერძო სექტორთან

დაარსების დღიდან კოლეჯმა საქმიანი ურთიერთობები დაამყარა მრავალ ორგანიზაციასთან, როგორებიცაა: „თეგეტა მოტორსი“, სს „იმერი“, შ.პ.ს. „ტაქსი“, სამოდელო სახლი „მარიონელა“, სს „ქუთაისის ავტოსერვისი“, შ.პ.ს. „დიზაინკომპლექსი“, სს „დასავლეთის წყალი“, სს „ქუთაისის გაზი“, სს „იტერა საქართველო“, სასტუმროები: „რჩეული“, „ბაგრატი“, „იმერი“, რესტორნები: „იმპერიალი“, „გრანდ პალასი“ და სხვა ორგანიზაციები. აღნიშნულ სამრეწველო, სამშენებლო თუ მომსახურების ობიექტებში მომდინარეობს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა. ხშირია პრაქტიკის ობიექტებზე კურსდამთავრებულთა დასაქმების შემთხვევები.

ხორციელდება ფასიანი გადამზადების მოკლევადიან პროგრამები:

- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის რეგიონული ფილიალის დაკვეთით მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები ელექტროშემკეთებლის, ზეინკალ-ელექტრიკოსისა და მქლორავ-ოპერატორის სპეციალობებზე გაიარა 158-მა მოსამსახურემ;
- ქალაქის მერიამ ამერიკის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით განახორციელა სანტექნიკოსისა და მომპირკეთებლის გადამზადების პროგრამები.
- განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების პროგრამა გაიარა SOS ბავშვთა სოფლის 32-მა ბენეფიციარმა.

ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები, როგორებიცაა:

- **UNDP** – გაეროს განვითარების პროექტი, რომლის ფარგლებშიც 9 პროგრამის მიხედვით პროფესიული გადამზადება გაიარა 155-მა სტუდენტმა;

- **USAID**, რომელმაც 6 პროფესიაში გადაამზადა 1080 კაცი;

- ნორვეგიის დევნილთა საბჭო – **NRC**, რომელიც წარმატებით თანამშრომლობდა კოლეჯთან 2008-2009 წლებში. აღნიშნული ორგანიზაციის დაფინანსებით სხვადასხვა პროგრამის მიხედვით პროფესიული მომზადება გაიარა აფხაზეთიდან დევნილმა 17-დან 25-წლამდე ასაკის 252-მა ბენეფიციარმა. 2013 წელს „განათლება დემოკრატიისათვის“ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა აფხაზეთიდან დევნილი ბენეფიციარების მომზადების 3-თვიანი პროგრამა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის, მზარეულის, სტილისტის და შემდუღებლის სპეციალობებზე.

USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის – **EPI**-ის პროექტის მიხედვით 2012 წლის აპრილ-სექტემბერში განხორციელდა მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგი სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტის, საკერავი მანქანის ოპერატორისა და საკერავი მანქანის მექანიკოსის სპეციალობებზე. ამასთან ერთად, პროექტის შესაბამისად, აღნიშნული სპეციალობების სასწავლო სახელოსნოები და ლაბორატორიები აღიჭურვა უახლესი დანადგარებით, მანქანებითა და სასწავლო მასალებით.

ბოლო პერიოდში პარტნიორთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა: ესტონური ორგანიზაციის **INNOVE**-ს პროექტის – „მხარი დავუჭიროთ პროფესიული განათლების განვითარებას საქართველოში“ – მიხედვით 2012 წლის მაისში კოლეჯის წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ესტონეთის ქალაქ რაკვერეს პროფესიულ-ტექნიკურ სკოლაში, რომლის მატერიალური ბაზა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები ძალიან მაღალი ხარისხისაა. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა კოლეჯის თანამშრომლობა ქალაქ რაკვერეს პროფესიულ-ტექნიკურ სკოლასთან. ხელშეკრულება ითვალისწინებს ჩვენი სტუდენტების სასწავლო პრაქტიკას რაკვერეს პროფესიულ-ტექნიკურ სკოლაში 3-5 კვირის განმავლობაში, აგრეთვე ჩვენი კოლეჯის ტრანსპორტის დარგის მასწავლებლების სტაჟირებასა და გადამზადების კურსებს რაკვერეში.

ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობამ დაამყარა კავშირი პოლონეთის პროფესიული განვითარების ორგანიზაციასთან. ამ პროექტის ფარგლებში კოლეჯის ოცი სტუდენტი და ხუთი მასწავლებელი 2012 წლის მაისში იმყოფებოდა პოლონეთის მოწინავე კოლეჯებში, სადაც გაეცნენ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას ავტომობილის ზეინკლის, სამკერვალო ნაწარმის

სპეციალისტის, სასტუმრო საქმისმწარმოებლის, ინფორმაციული ტექნოლოგისა და კომპიუტერული გრაფიკოსის სპეციალობებზე. 2013 წლის ოქტომბერში პოლონეთის ქალაქ პოზნანის პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა და სტუდენტთა დელეგაცია 18 კაცის შემადგენლობით საპასუხო სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა კოლეჯ „იბერიაში“. სტუმრები გაეცნენ სამუშაო პროცესს, ჩვენს სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს სემინარებსა და სხვადასხვა სახის აქტივობებში. აღნიშნული პროექტი მომავალშიც გაგრძელდება.

დაწესებულება დიდ ყურადღებას უთმობს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ფაქტორებს: პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და დონორი ორგანიზაციების დახმარებით სისტემატიურად ზრუნავს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სწავლების მოწინავე მეთოდების დანერგვასა და ახალი პროფესიების ათვისებაზე.

კოლეჯი დიდ ყურადღებას მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების მეთოდების სრულყოფის საკითხებს. დღეისათვის მმართველი რგოლის წარმომადგენლებსა და თითქმის ყველა პედაგოგს გავლილი აქვს სხვადასხვა სახის ტრენინგი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და DVV ინტერნაციონალის მიერ ორგანიზებული პედაგოგ ანდრაგოგის კურსის სასწავლო პროგრამა;
- ✓ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გადამზადების პროგრამა;
- ✓ ინკლუზიური სწავლების;
- ✓ სამოქალაქო განათლების;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაცია INVENT-ის მიერ ორგანიზებული პროფესიული პედაგოგიკის;
- ✓ სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის პროგრამები;
- ✓ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება **giz**-ის მიერ 2009-2013 წლებში განხორციელებული ტრენინგები კოლეჯის მმართველი რგოლისა და მასწავლებლებისათვის.
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა სახლისა და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები საინფორმაციო ტექნოლოგიებში, პროფესიულ უნარებში, ახალი პროფესიული სტანდარტებისა და მოდულების შემუშავებაში.

დაარსების პირველივე დღეებიდან სასწავლებელმა საქმიანი ურთიერთობები დაამყარა მრავალ ორგანიზაციასთან:

➤ **ადგილობრივი ბიზნესი:**

- ❖ შპს დასავლეთის წყალი, რომლის დაკვეთით გადამზადების პროგრამა გაიარა 158 მოსამსახურემ;
- ❖ ქალაქის მერია, რომელმაც ამერიკის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით განახორციელა მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები.

➤ **სართაშორისო ორგანიზაციები:**

- ❖ UNDP – გაეროს განვითარების პროექტი, რომლის ფარგლებშიც 9 პროგრამის მიხედვით პროფესიული გადამზადება გაიარა 105-მა სტუდენტმა;
- ❖ USAID, რომელმაც 6 პროფესიში გადაამზადა 1080 კაცი.
- ❖ ნორვეგიის დევნილთა საბჭო – NRC, რომელიც წარმატებით თანამშრომლობდა კოლეჯთან 2008-2009 წლებში. აღნიშნული ორგანიზაციის დაფინანსებით სხვადასხვა პროგრამის მიხედვით პროფესიული მომზადება გაიარა აფხაზეთიდან დევნილმა 17-დან 25-წლამდე ასაკის 252-მა ბენეფიციარმა.
- ❖ 2014 წელს USAID-ის პროექტის „ახალი ეკონომიკური ინიციატივის“ (NEO-ს) გრანტის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები იძულებით გადაადგილებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

პროექტის მიზანი იყო სენაკსა და წყალტუბოში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი და სოციალურად დაუცველი პირების სწავლება და დასაქმება.

პროექტის შესაბამისად აღნიშნული ბენეფიციარისათვის შეიქმნა პროფესიული გადამზადების ჯგუფები სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის, მეფილე-სანტექნიკოსის, სტილისტის, მზარეულ-კონდიტერის პროფილით. თითოეული სპეციალობისათვის შემუშავებული იქნა კონკრეტულ მოთხოვნებზე მორგებული სასწავლო პროგრამა NEO-ს ბენეფიციერების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

პროექტის ფარგლებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იყვნენ სატრანსპორტო მომსახურებითა და ერთჯერადი კვებით, რის შედეგადაც კოლეჯმა შეიძინა დიდი გამოცდილება პროექტში ჩართული პროფესიული სტუდენტებისათვის სრული მომსახურების პაკეტის შეთავაზებისა და განხორციელების თვალსაზრისით.

- ❖ კოლეჯის დირექტორი და დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი 2014 წლის 29.09-დან 03.10-ის ჩათვლით მიწვეულნი იყვნენ ფონდ INNOVE-ს ესტონურ-ქართულ

პროექტის „მხარი დავუჭიროთ პროფესიული განათლების განვითარებას საქართველოში“ მესამე ეტაპის სამუშაო შეხვედრაზე ესტონეთში. პროექტი ითვალისწინებდა მასწავლებელთა ორკვირიან სტაჟირებას კოლეჯ „იბერია“ პარტნიორ ქალაქ რაკვერეს პროფესიულ-ტექნიკურ სკოლაში, რომლის საფუძველზეც 2015 წლის გაზაფხულზე ესტონეთში განხორციელებულ ვიზიტში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის მზარეულისა და კონდიტერის საგანმანათლებლო პროგრამების ორმა მასწავლებელმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კრედიტების რაოდენობა და სწავლის ხანგრძლივობა

№	საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	სწავლის ხანგრძლივობა (თვე)
1.	<i>მემცენარე</i>	მესამე	მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	10
2.	<i>მეფუტკრე</i>	მესამე	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	75	13
3.	<i>კონდიტერი</i>	მესამე	კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90	17
4.	<i>მზარეული</i>	მეორე	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	8
5.	<i>მზარეული</i>	მესამე	მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	8
6.	<i>მზარეული</i>	მეოთხე	მზარეულის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	10

7.	<i>ბულალტერი</i>	მესამე	ბულალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბულალტერ-მონაგარიშე	45	8
8.	<i>გამყიდველ-კონსულტანტი</i>	მესამე	გამყიდველ-კონსულტანტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	8
9.	<i>ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)</i>	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	11
10.	<i>სასტუმრო საქმისმწარმოებელი</i>	მესამე	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	10,5
11.	<i>სარესტორნო საქმისმწარმოებელი</i>	მესამე	სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	45	8
12.	<i>კომპიუტერული გრაფიკოსი</i>	მესამე	კომპიუტერული გრაფიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	11
13.	<i>ინფორმაციული ტექნოლოგი</i>	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	11
14.	<i>ელექტრიკოსი</i>	მესამე	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	11
15.	<i>მეფილე-მომპირკეთებელი</i>	მესამე	მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	8
16.	<i>მღებავი</i>	მესამე	მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	8
17.	<i>თაბაშირმუყაოს სპეციალისტი</i>	მესამე	თაბაშირმუყაოს სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	8

18.	<i>გაზომარაგების სისტემის მემონტაჟი</i>	მესამე	გაზომარაგების სისტემის მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	70	12
19.	<i>ზეინკალ-სანტექნიკოსი</i>	მესამე	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	11
20.	<i>ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი</i>	მესამე	ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	11
21.	<i>ავტომობილის დიაგნოსტიკოსი</i>	მეორე	ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30	5
22.	<i>ავტომობილის დიაგნოსტიკოსი</i>	მესამე	ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30	5
23.	<i>სავალი ნაწილის ტექნიკოსი</i>	მესამე	სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	50	9,5
24.	<i>ძრავის შემკეთებელი</i>	მესამე	ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	11
25.	<i>ავტომობილის ზეინკალი</i>	მესამე	ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	11
26.	<i>ავტომობილის ზეინკალი</i>	მეოთხე	ავტომობილის ზეინკლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	10
27.	<i>დურგალი</i>	მესამე	დურგლის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	60	11
28.	<i>სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი</i>	მესამე	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	8

29.	<i>შემდუღებელი (ელექტრორკალური)</i>	მესამე	შემდუღებლის (ელექტრორკალური) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	8
30.	<i>შემდუღებელი</i>	მეოთხე	შემდუღებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	10
31.	<i>სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი</i>	მესამე	სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	8
32.	<i>საკერავი მანქანის მექანიკოსი</i>	მესამე	საკერავი მანქანის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30	5
33.	<i>საკერავი მანქანის ოპერატორი</i>	მესამე	საკერავი მანქანის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30	5
34.	<i>სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი</i>	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	60	11
35.	<i>სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი</i>	მეოთხე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია	60	10
36.	<i>სტილისტი (ქალი, მამაკაცი)</i>	მესამე	სტილისტ-პარკმახერის/ქალი, მამაკაცი/მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	8

კოლეჯის საგნობრივი პროგრამები

ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი

პროფესიული განათლების საფეხური: ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (8 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს; შეუძლია ავტომობილის ელექტრომომწოდებლობის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა და შეკეთებითი სამუშაოების წარმოება სპეციალური დანადგარებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, უსაფრთხოების წესების დაცვით.

ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის დასაქმების სფეროს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მარკისა და მოდელის ავტომობილის სერვისცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობას და მოითხოვენ ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის მრავალმხრივ პროფილიზაციას.

სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულმა იცის ავტომობილის ელექტრომომწოდებლობის ტექნიკურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორები და მისი ცვლილების მიზეზები; შეკეთების ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი პრინციპები და დებულებები; ავტომობილის ელექტრომომწოდებლობის ცალკეული სისტემებისა და მექანიზმების მუშაობის პრინციპთა თავისებურებები; მათი აწყობის ტექნოლოგიური რუკები, ტექნიკური პირობები და გამოყენებული მოწყობილობა-დანადგარები; სათადარიგო დეტალების შემოწმების მეთოდები და მათი შეცვლის რესურსები; ტექნიკური მომსახურების რეგლამენტებული სამუშაოების შესრულების პერიოდულობა; შრომის უსაფრთხოების წესები;

შეუძლია ავტომობილის ელექტრომომწოდებლობის დაშლილი სისტემებისა და მექანიზმების სათანადო კონტროლი, მათი ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა, მომზადება და დამოუკიდებლად აწყობა ტექნოლოგიური რუკებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების

შესაბამისად. აგრეთვე აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად სპეციალური დანადგარებისა და ინსტრუმენტების ოპტიმალური გამოყენება.

ავტომობილის ზეინკალი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ავტომობილის ზეინკალი

პროფესიული განათლების საფეხური: ავტომობილის ზეინკლის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ავტომობილის ზეინკლის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (11 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს; შეუძლია ავტომობილის დაშლილი აგრეგატებისა და მექანიზმების სათანადო კონტროლი, მომზადება და დამოუკიდებლად აწყობა ტექნოლოგიური რუკებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად სპეციალური დანადგარებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით.

ავტომობილის ზეინკლის დასაქმების სფეროს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მარკისა და მოდელის ავტომობილის სერვისცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობას და მოითხოვენ ავტომემკვეთების მრავალმხრივ პროფილიზაციას.

სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულმა იცის ავტომობილის ტექნიკურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორები და მისი ცვლილების მიზეზები, ავტომობილის შეკეთების ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი პრინციპები და დებულებები, ავტომობილის ცალკეული აგრეგატებისა და მექანიზმების მუშაობის პრინციპების თავისებურებები, სათანადო დეტალების შემოწმების მეთოდები და

მათი შეცვლის რესურსები, ტექნიკური მომსახურების რეგლამენტირებული სამუშაოების შესრულების პერიოდულობა; შრომის უსაფრთხოების წესები.

შეუძლია ავტომობილის დაშლილი აგრეგატებისა და მექანიზმების სათანადო კონტროლი, მათი ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა, მომზადება და დამოუკიდებლად აწყობა ტექნოლოგიური რუკების და ტექნიკური პირობების მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად სპეციალური დანადგარებისა და ინსტრუმენტების ოპტიმალური გამოყენება.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ავტომობილის ზეინკალი

პროფესიული განათლების საფეხური: ავტომობილის ზეინკლის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ავტომობილის ზეინკლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (10 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ავტომობილის ზეინკლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ავტომობილის ზეინკლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს; შეუძლია, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.

ავტომობილის ზეინკლის დასაქმების სფეროს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მარკისა და მოდელის ავტომობილის სერვისცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობას და მოითხოვენ ავტოშემკეთებლების მრავალმხრივ პროფილიზაციას.

სწავლის შედეგი:

შეუძლია ავტომობილის, მისი აგრეგატების, მექანიზმებისა და კვანძების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა; დიაგნოსტიკის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მეშვეობით ოპერატორის მიერ გამოვლენილი უწყისივრობების აღმოფხვრა; ავტომობილების ტექნიკური მომსახურების გრაფიკის შედგენა; ავტომობილების ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესში მტყუნებების აღრიცხვა და დაჯგუფება; მე-3 საფეხურის ავტოზეინკლების ბრიგადის სამუშაო პროცესის

ხელმძღვანელობა; ავტომობილების ტექნიკური მომსახურების პოსტის პასპორტის შედგენა.

ბუღალტერი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბუღალტერი

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბუღალტრის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მონაგარიშე/

პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტი (8 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, მოამზადოს სპეციალისტი: რომელსაც გააჩნია სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის, ბიზნესის, სამართლის და ეკონომიკის საფუძვლების ცოდნა; შეუძლია პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების, კრეფსითი უწყისების შედგენა, გატარებული ოპერაციების და ტიპური/გამეორებადი ოპერაციების დამოუკიდებლად ასახვა, დანერგილ საბუღალტრო პროგრამებში სამეურნეო ოპერაციების შეტანა და ოპერაციების კორექტირება, საცდელი ბალანსისთვის ნაშთების მომზადება.

ბუღალტრის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დაიკავოს ბუღალტერ-მონაგარიშის პოზიცია კერძო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში.

სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულმა იცის სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენა, დოკუმენტირებული სამეურნეო მოვლენის საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერა, საბუღალტრო ანგარიშებში ნაშთების გამოთვლა, საგადასახადო სისტემის ზოგადი პრინციპები და პროცესები, ასევე ბიზნესის, სამართლისა და ეკონომიკის საფუძვლები.

შეუძლია პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების, კრეფსითი უწყისების შედგენა, გატარებული ოპერაციების და ტიპური/ გამეორებადი ოპერაციების დამოუკიდებლად ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში, დანერგილ საბუღალტრო პროგრამებში სამეურნეო ოპერაციების შეტანა და ოპერაციების კორექტირება, საცდელი ბალანსისთვის ნაშთების მომზადება.

დურგალი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დურგალი

პროფესიული განათლების საფეხური: დურგლის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დურგლის III საფეხურის კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (11 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს დურგლის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, იცის ხისა და ხის მასალის სახეობები და მახასიათებლები, დამუშავების ტექნოლოგია და მეთოდები, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს; შეუძლია მარტივი საგურგლო ნაკეთობებისა და კორპუსული ავეჯის დამზადება სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.

დურგალი მზადაა შეასრულოს თავისი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო როგორც ხის დასამუშავებელ საწარმოში, რომელიც დაკავებულია საავეჯო და სამშენებლო ნაკეთობების წარმოებით, ასევე ნებისმიერ კერძო საწარმოსა და უცხოურ ფირმაში. შესაძლებელია თვითდასაქმება და ინდივიდუალური მეწარმეობა.

სწავლის შედეგი

კურსდამთავრებულმა იცის ხისა და ხის მასალის სახეობები და მახასიათებლები, დამუშავების ტექნოლოგია და მეთოდები; ზედამხედველობს და აკონტროლებს როგორც არასტანდარტული, ასევე სტანდარტული ოპერაციების შესრულებას და ხშირად მათ კომბინირებას. იცის სადურგლო ნაკეთობის ესკიზისა და მარტივი ნახაზის შედგენა. საბაზო დონეზე ფლობს პროფესიულ სიტყვათა მარაგს, ავეჯის ისტორიასა და დიზაინს. შესწავლილი აქვს სატყეო საქონლის სახეები და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. შეუძლია ხის მასალის გაზომვა, ხელის პნევმატური, მექანიკური და ელექტრო იარაღების გამოყენება; სადურგლო ნაკეთობის, ხის კარებისა და ფანჯრების, აგრეთვე მერქან-ბოჭკოვანი ფილებისაგან სხვადასხვა სახის კორპუსული ავეჯის დამზადება.

ელექტრიკოსი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ელექტრიკოსი

პროფესიული განათლების საფეხური: ელექტრიკოსის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ელექტრიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (11 თვე)

პროგრამის მიზანი:

ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის ელექტრიკოსი, რომელსაც აქვს ელექტროდანადგარების სამონტაჟო, სარემონტო და საექსპლოატაციო სამუშაოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი პროცესებისა და ზოგადი თეორიული საფუძვლების ცოდნა. შეუძლია ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟისა და ექსპლოატაციის ტექნიკური მეთოდებისა და უნარების ფართო სპექტრით მანიპულირება და ოპტიმალურის დამოუკიდებლად არჩევა სხვადასხვა ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.

კურსის დასრულების შემდეგ ელექტრიკოსს შეუძლია იმუშაოს ელექტროენერჯის მწარმოებელ, გადამცემ, გამანაწილებელ და მომხმარებელ ობიექტებზე და შეასრულოს ელექტრული დანადგარებისა და მოწყობილობების სამონტაჟო, სარემონტო და გაწყობითი სამუშაოები შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვით.

სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულმა იცის ელექტროდანადგარების სამონტაჟო, სარემონტო და საექსპლოატაციო სამუშაოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი პროცესები და ზოგადი კონცეფციები; ელექტრომოწყობილობების უსაფრთხოებისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესები; აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს და შეუძლია ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟი და ექსპლოატაცია ტექნიკური მეთოდებისა და უნარების ფართო სპექტრის გამოყენებით; ოპტიმალური ხერხების, ინსტრუმენტებისა და მასალების დამოუკიდებლად არჩევა და სამუშაოს შესრულება შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით.

გამყიდველ-კონსულტანტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გამყიდველ-კონსულტანტი

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: გამყიდველ-კონსულტანტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტი (8 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

გამყიდველ-კონსულტანტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და შეუძლია მომხმარებლის მომსახურება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, დადგენილი ნორმების მიხედვით.

გამყიდველ-კონსულტანტის დასაქმების სფეროს წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის სავაჭრო ობიექტები: სავაჭრო ცენტრები, უნივერსალური მაღაზიები, საცალო ვაჭრობის ქსელები, სუპერმარკეტები, მინიმარკეტები, შ.პ.ს. საფირმო მაღაზიები. შრომის ბაზრის ნაწილი თვითდასაქმებულთა სეგმენტზე მოდის: ინდივიდუალური მეწარმეობა, მცირე ბიზნესი.

სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულმა იცის ობიექტის მუშაობის რეჟიმი, სავაჭრო დარბაზისა და დამხმარე სათავსოების დანიშნულება და განლაგება, საზომ-საწონი მოწყობილობები. ობიექტში არსებული დანადგარ-მოწყობილობების ექსპლუატაცია უსაფრთხოების ნორმების დაცვით, საქონლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიღება; თანმხლები დოკუმენტების გაშიფრვა; ტარა და ტარის სახეები; საქონლის განლაგება სავაჭრო დარბაზში სახეებისა და ჯგუფების მიხედვით. მარაგის შენახვა და განლაგება; მომხმარებელთან შეხვედრა, კონსულტაციის გაწევა, გასაყიდი ასორტიმენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, დახმარება საქონლის შერჩევაში;

შეუძლია პროდუქტების შენახვის ვადების კონტროლი და როტაცია; შესაფუთი მასალების შერჩევა და შეფუთვა; გაყიდული საქონლის ღირებულების დაანგარიშება სალარო-აპარატის საშუალებით და ანგარიშსწორება დადგენილი ნორმებით. დღის ბოლოს ბალანსის გაკეთება, მაღაზიის ნაშთის კონტროლი; საქონლის ინვენტარიზაცია. მენეჯერთან ან კოლეგებთან ერთად შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა; სამუშაო პროცესის უპრობლემოდ წარმართვა.

ინფორმაციული ტექნოლოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ინფორმაციული ტექნოლოგიები

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (11 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მსმენელს მისცეს ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია ინფორმაციულ ტექნოლოგიებში პროფესიული საქმიანობისათვის. მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებად შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნას.

სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია და გამართვა;
- პროფილაქტიკური მომსახურება ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;
- გაუმართაობების აღმოფხვრა და კომპიუტერების შეკეთება;
- პერიფერიული მოწყობილობების დამატება და გამართვა;
- დრაივერების ინსტალაცია და განახლება;
- ოპერაციული სისტემის შერჩევა კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე, მისი დაყენება, გამართვა და ოპტიმიზაცია;
- სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა;
- მონაცემთა აღდგენა;
- აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მისი კვალიფიციური აღმოფხვრა;
- მცირე საოფისე ქსელების დაპროექტება და მოწყობა;
- ქსელური მოწყობილობებისა და კაბელის ტიპების არჩევა;
- ქსელის ინსტალაცია და ტესტირება;
- ქსელური რესურსების კონფიგურაცია.

კომპიუტერული გრაფიკოსი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კომპიუტერული გრაფიკოსი

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული გრაფიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (11 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მსმენელს მისცეს ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლიც აუცილებელია კომპიუტერულ საგამომცემლო სისტემებში პროფესიული საქმიანობისათვის. მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებად შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნას.

კომპიუტერული გრაფიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი მუშაობას შეძლებს სამშენებლო, არქიტექტურულ და კერძო კომპანიებში, რომლებიც მუშაობენ ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის განხრით; სამაუწყებლო კომპანიებში, ანიმაციურ და გახმოვანების სტუდიებში, სადაც მიმდინარეობს პროცესების ვიდეო-აუდიო ფიქსაცია და დაკავებულია ვიდეო-აუდიო მონტაჟით.

სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულს შეუძლია: სამგანზომილებიანი არქიტექტურული ობიექტების მოდელირება, ტექსტური რედაქტირება, ანიმირება და ვიზუალიზაცია 3D პროგრამის გამოყენებით; ტექსტების 3D ანიმაციური და დინამიური დამუშავება. მულტფილმისა და თამაშის პერსონაჟის შექმნა და ანიმაციური მოდელირება; ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის შექმნა; საინჟინრო და არქიტექტურული ელემენტების შექმნა. გადაღებისათვის სინათლის დაყენება, ფოტო და ვიდეო გადაღება; ციფრული ტექნოლოგიებით გადაღებული ფილმების, ანიმაციების, კლიპების, სარეკლამო რგოლების სამონტაჟოდ მომზადება, მონტაჟი და სპეც-ეფექტების გამოყენებით გაფორმება.

მეფილე-მომპირკეთებელი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მეფილე-მომპირკეთებელი

პროფესიული განათლების საფეხური: მეფილე-მომპირკეთებელის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეფილე-მომპირკეთებლის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტი (8 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის მეფილე-მომპირკეთებელი, რომელმაც იცის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი საკითხები და შეუძლია შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.

კურსდამთავრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ შეიძლება დასაქმდეს სამშენებლო ობიექტებზე:

- ა) მრავალპროფილიან საწარმოში;
- ბ) მონოპროფილიან საწარმოში;
- გ) როგორც თვითდასაქმებული.

სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულმა იცის შენობის ნაწილები და სამშენებლო ნახაზები; სამშენებლო დულაბები და ბეტონები, ცემენტ-წყობები; ინსტრუმენტები და მოწყობილობები;

შეუძლია სტაბილურ გარემოში, გარკვეული დამოუკიდებლობით, შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით: ქვის ჭრა, წყობა, გადაბმა სხვადასხვა ხერხითა და სისტემით; აგურის წყობა, წყობა ყორე და ყორებეტონისაგან; ხელოვნური და ბუნებრივი ქვის წობა. წყობის დაარმატურება. წყობის განაწიბურება, ნაკერების და ნაწიბურების გამოყვანა; ღიობების, ზღუდარების, თაღების და ჭების წყობა; დეკორატიული წყობა, არქიტექტურული დეტალების შესრულება; ქვის წყობის რემონტი და რესტავრაცია.

მეფუტკრე

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მეფუტკრე

პროფესიული განათლების საფეხური: მეფუტკრის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეფუტკრის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 75 კრედიტი (13 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის მეფუტკრე, რომელსაც აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პროცესების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, იცის სასელექციო-სანაშენე მუშაობა და ფუტკრის მოშენების მეთოდები.

კურსდამთავრებულს შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეეძლება დასაქმდეს ფერმერულ მეურნეობებში და კერძო სტრუქტურებში.

სწავლის შედეგი:

შეუძლია სასელექციო-სანაშენე მუშაობის წარმოება მოშენების სხვადასხვა მეთოდით (მასობრივი, ინდივიდუალური და ხაზებად მოშენება); სელექცია როგორც ფენოტიპის, ასევე გენოტიპის მიხედვით; გადარჩეული ოჯახების შეფასება ელემენტარული მემკვიდრული ხარისხით, პროდუქტიულობის გათვალისწინებით.

მემცენარე

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მემცენარე

პროფესიული განათლების საფეხური: მემცენარის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მემცენარის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (10 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის მემცენარე, რომელსაც აქვს მოსავლის მიღების აგროტექნოლოგიებისა და ძირითადი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ზოგადი ცოდნა, იცის მცენარეთა გამრავლების ტექნოლოგია, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს და შეუძლია კულტურების მიხედვით არის შერჩევა, ნათესის მოვლა.

მემცენარის დასაქმების სფეროებია სახელმწიფო და ფერმერული მეურნეობები, სხვადასხვა სახის აგროფირმები.

სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულმა იცის მცენარეთა გამრავლების ტექნოლოგია, სასუქთა გამოყენების სისტემა მცენარეთა ბიოლოგიის ზოგადი ცოდნის გათვალისწინებით. კარგად ესმის მცენარე-გარემოს ურთიერთდამოკიდებულება. აქვს ძირითადი სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღების ზოგადი ცოდნა. იცის სარეველებთან ბრძოლის წესები; აგროტექნიკური, ბიოლოგიური, ქიმიური ჰერბიციდები, შეტანის ნორმები და ვადები, გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის საშუალებები. იცის მინდვრის კულტურების მთავარი დაავადებები და მავნებლები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები. იცის მოსავლის აღების წესები და ვადები;

თესლბრუნვის პრინციპები, თესვის წესები; ერკვევა მცენარეთა სისტემატიკაში. შეუძლია მეურნეობაში (ფერმაში) გავრცელებული ძირითადი კულტურების ჯიშების იდენტიფიცირება. შეუძლია სხვადასხვა კულტურის თესვა წესების გამოყენებით; ნიადაგის მომზადება როგორც საშემოდგომო, ასევე საგაზაფხულო კულტურებისათვის; კულტურების მიხედვით კვების არის შერჩევა, ნათესის მოვლა, სარეველების იდენტიფიცირება, მათთან ბრძოლა.

მღებავი

პროფესიული განათლების საფეხური: მღებავის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მღებავის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 30 კრედიტი (4 თვე)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის მღებავის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს და მაღალი ხარისხით შეუძლია საშპალერო და სამღებრო გამოყვანითი სამუშაოების შესრულება; შრომის უსაფრთხოებისა და საწარმოო ჰიგიენის დაცვა.

კურსდამთავრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეიძლება დასაქმდეს:

- ა) მრავალპროფილიან საწარმოში;
- ბ) მონოპროფილიან საწარმოში;
- გ) როგორც თვითდასაქმებული.

სწავლის შედეგი

კურსდამთავრებულს შეუძლია შემდეგი სამუშაოების შესრულება: ძირითადი სამშენებლო მოწყობილობებისა და საზომი ინსტრუმენტების შერჩევა, გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში მათი შეკეთება-დარეგულირება; ხის, შელესილი, რკინაბეტონის, ლითონის და სხვა ზედაპირების მომზადება შესაღებად; წყლიანი და უწყლო საღებავების შედგენილობის მომზადება და შიგა ზედაპირების ხელის ინსტრუმენტებითა და მექანიზებული წესით შეღებვა; ზედაპირების ზეთოვანი, ემალის საღებავებით და ლაქით შეღებვა; ფასადების შესაღებად ზედაპირების მომზადება და შეღებვა; სამღებრო გამოყვანითი სამუშაოების შესრულება: პანელებისა და ფრიზების შეღებვა, ტრაფარეტით მოპირკეთება, ზედაპირის მოპირკეთება სატორსო ღრუბლებით, ლილვაკებითა და შხეფით, ზედაპირების ფაქტურული მოპირკეთება, მინების გამჭრქალება; შეღებვის ხარისხის მაჩვენებლების საშუალებით დეფექტების განსაზღვრა; საშპალერო სამუშაოების შესრულება: ბუბკოსა და წებოს მომზადება, ზედაპირის გაწებოვნება და მასზე ქალაღდის გაკვრა, შპალერის მომზადება დასაწებებლად და კედელზე

დანართი #22- სვეტების მოპირკეთება

დანართი #23- საფეხმავლო ბილიკების მოწყობა

დანართი #24- სამშენებლო ნახაზების კითხვა და სქემების შედგენა

დანართი #25- წყალმომარაგების ელემენტები

ვამტკიცებ:

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“

დირექტორი: -----

ბრძ.# 158

თარიღი: 14.08.2015

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ოფისის მენეჯერი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის #61

ტელეფონი: (0431) 22 55 62, (0431) 23 25 62

ელ-ფოსტა: kolejiiberia@gmail.com

პროგრამის ხელმძღვანელი: პედაგოგი ფიქრია ქლიბაძე

ქუთაისი

2015

I. სახელწოდება: ოფისის მენეჯერი

II. სარეგისტრაციო ნომერი: 04101-3

III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეოთხე

IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ოფისის მენეჯერის პროფესიული სტანდარტი

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანაშემწედ, ორგანიზაციის შესაბამისი ადმინისტრაციული სრუქტურული ერთეულის სპეციალისტად.

VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს ამ პროგრამის გავლის შემდეგ ჰქონდეთ ის აუცილებელი კომპეტენციები და უნარები, რომლებიც დაეხმარება მათ დასაქმდნენ ოფისის მენეჯერის თანამდებობაზე სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში. კურსდამთავრებულს შეეძლება სხვადასხვა ტიპის ადმინისტრაციული პროცედურების წარმოება.

IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საოფისე საქმიანობის ადმინისტრირება
- საოფისე მარაგების მართვა
- კორესპონდენციის ორგანიზება
- დოკუმენტების (საგანმკარგულებლო, საინფორმაციო, საადმსრულებლო) პროექტების შედგენა
- პერსონალის საქმიანობის ორგანიზება და საკადრო საქმისწარმოება
- მიღებისა და ღონისძიებების ორგანიზება

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 115 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე (84 სასწავლო კვირა)

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადიმოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები ³	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა - ოფისის მენეჯერი	2	ლონისძიების სტრატეგიული დაგეგმვა	8
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა - ოფისის მენეჯერი	12	სტუმართან და მედიასთან ურთიერთობა	3
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	პრაქტიკული პროექტი- ოფისის მენეჯერი	6	პრეზენტაციის ტექნიკა	4
მეწარმეობა	5	ადმინისტრაციული ასისტირება	5	საქმიანი წინადადებების მომზადება და შეთავაზება	6
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	კორესპონდენციის ორგანიზება	5		
უცხოური ენა	5	მონაცემთა ბაზებთან მუშაობა	3		
		საარქივო საქმის ორგანიზება	5		
		საგანმკარგულებო დოკუმენტების წარმოება	5		

		საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა	3		
		საწესდებო დოკუმენტების წარმოება	4		
		ლონისძიებების ორგანიზება და საპროტოკოლო მომსახურება	5		
		საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა	2		
		პერსონალის საქმიანობის ორგანიზება და საკადრო საქმის წარმოება	3		
		საინფორმაციო და სააღმსრულებლო დოკუმენტების წარმოება	2		
		პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის ნორმების დაცვა	2		
		ნორმატიულ აქტებთან მუშაობა	3		
		წერილობით ტექსტთან მუშაობა	7		
სულ:	20	სულ:	74	სულ:	21

XII. პროფესიულსტუდენტისმიღწევებისშეფასება

11. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

12. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

13. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
14. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
15. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ დირექტორის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებულ კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 21 კრედიტი.

პროგრამას თან ერთვის:

დანართი # 1- სასწავლო გეგმა

დანართი # 2- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი # 3- კომუნიკაცია

დანართი # 4- რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი # 5- საინფორმაციო ტექნოლოგიები

დანართი # 6- მეწარმეობა

დანართი # 7- პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები

დანართი # 8- უცხოური ენა (ინგლისური)

დანართი # 9- გაცნობითი პრაქტიკა - ოფისის მენეჯერი

დანართი #10- საწარმოო პრაქტიკა - ოფისის მენეჯერი

დანართი #11- პრაქტიკული პროექტი - ოფისის მენეჯერი

დანართი #12- ადმინისტრაციული ასისტირება

დანართი #13- კორესპონდენციის ორგანიზება

დანართი #14- მონაცემთა ბაზებთან მუშაობა

- დანართი #15- საარქივო საქმის ორგანიზება
- დანართი #16- საგანმკარგულებო დოკუმენტების წარმოება
- დანართი #17- საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა
- დანართი #18- საწესდებო დოკუმენტების წარმოება
- დანართი #19- ღონისძიებების ორგანიზება და საპროტოკოლო მომსახურება
- დანართი #20- საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა
- დანართი #21- პერსონალის საქმიანობის ორგანიზება და საკადრო საქმის წარმოება
- დანართი #22- საინფორმაციო და სააღმსრულებლო დოკუმენტების წარმოება
- დანართი #23- პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის ნორმების დაცვა
- დანართი #24- ნორმატიულ აქტებთან მუშაობა
- დანართი #25- წერილობით ტექსტთან მუშაობა
- დანართი #26- ღონისძიების სტრატეგიული დაგეგმვა
- დანართი #27- სტუმართან და მედიასთან ურთიერთობა
- დანართი #28- პრეზენტაციის ტექნიკა
- დანართი #29- საქმიანი წინადადებების მომზადება და შეთავაზება

ვამტკიცებ:

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“

დირექტორი: -----

ბრძ.# 158

თარიღი: 14.08.2015

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

რესტორნის სერვის მენეჯერი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის #61

ტელეფონი: (0431) 22 55 62, (0431) 23 25 62

ელ-ფოსტა: kolejiiberia@gmail.com

პროგრამის ხელმძღვანელი: პედაგოგი ავთანდილ ხაჭაპურიძე

ქუთაისი

2015

I. სახელწოდება: რესტორნის სერვის მენეჯერი

II. სარეგისტრაციო ნომერი: 10107-3

III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეოთხე

IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: რესტორნის სერვის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- რესტორნის სერვისმენეჯერის პროფესიული სტანდარტი

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს რესტორანში, ბარში, კაფეში და სხვადასხვა კვების ობიექტში.

VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია პირს მისცეს სერვისმენეჯერისთვის საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა მან შეძლოს მცირე ტიპის კვების ობიექტის (კაფე-ბარი, რესტორანი) ორგანიზება და მართვა.

IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- კვების ობიექტის ბიზნესგეგმის შედგენა;
- კვების ობიექტის ფინანსური გეგმის შედგენა;
- კადრების შერჩევა და კონტროლი;
- ობიექტის ფუნქციონირების კონტროლი;
- სამუშაო პროცესის ორგანიზება;
- დღესასწაულების, პრეზენტაციების, საქმიანი შეხვედრების, კონფერენციების ორგანიზება;
- კვების ობიექტზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა/დანერგვა;

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 109 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 20 სასწავლო თვე (80 სასწავლო კვირა)

XI. პროგრამის ტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადიმოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა - რესტორნის სერვის მენეჯერი	2	სამუშაო გარემოს ორგანიზება სავაჭრო ობიექტში	4
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა - რესტორნის სერვის მენეჯერი	12	გაყიდვების ოპერაციების შესრულება სავაჭრო ობიექტში	7
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	პრაქტიკული პროექტი - რესტორნის სერვის მენეჯერი	6	მომხმარებელთან ურთიერთობის წარმართვა სავაჭრო ობიექტში	11
მეწარმეობა	5	სერვისი და სერვირება	6		
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	დარგობრივი ინგლისური ენა - სარესტორნო საქმიანობა - (B1+/ B2)	5		
უცხოური ენა (ინგლისური)	5	ლონისძიებების ორგანიზება	4		
		ტურიზმისა და სატურმის რმასპინძლობის შესავალი	4		
		ჰიგიენა და სანიტარიული	2		

		ნორმები			
		მარკეტინგიდაგაყიდვები	3		
		უსაფრთხოებისმართვა	2		
		ფინანსებისდამატერიალურირესურსებისმართვა	5		
		რუსულიენასარესტორნოსაქმიანობისთვის	6		
		ეტიკეტიდამეტყველებისკულტურა	2		
		კვებისობიექტისმართვა	6		
		პირველადი გადაუდებელი დახმარება	2		
სულ:	20	სულ:	67	სულ:	22

XII. პროფესიულსტუდენტისმიღწევებისშეფასება

16. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

17. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

18. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

19. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

20. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ დირექტორის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 22 კრედიტი.

პროგრამას თან ერთვის:

დანართი # 1- სასწავლო გეგმა

დანართი # 2- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი # 3- კომუნიკაცია

დანართი # 4- რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი # 5- საინფორმაციო ტექნოლოგიები

დანართი # 6- მეწარმეობა

დანართი # 7- პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები

დანართი # 8- უცხოური ენა (ინგლისური)

დანართი # 9- გაცნობითი პრაქტიკა - რესტორნის სერვის მენეჯერი

დანართი #10- საწარმოო პრაქტიკა - რესტორნის სერვის მენეჯერი

დანართი #11- პრაქტიკული პროექტი - რესტორნის სერვის მენეჯერი

დანართი #12- სერვისი და სერვირება

დანართი #13- დარგობრივი ინგლისური ენა - სარესტორნო საქმიანობა- (B1+/ B2)

დანართი #14- ღონისძიებების ორგანიზება

დანართი #15- ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი

დანართი #16- ჰიგიენა და სანიტარიული ნორმები

დანართი #17- მარკეტინგი და გაყიდვები

დანართი #18- უსაფრთხოების მართვა

დანართი #19- ფინანსების დამატერიალური რესურსების მართვა

დანართი #20- რუსული ენა სარესტორნო საქმიანობისთვის

დანართი #21- ეტიკეტი და მეტყველების კულტურა

დანართი #22- კვების ობიექტის მართვა

დანართი #23- პირველადი გადაუდებელი დახმარება

დანართი #24- სამუშაო გარემოს ორგანიზება სავაჭრო ობიექტში

დანართი #25- გაყიდვების ოპერაციების შესრულება სავაჭრო ობიექტში

დანართი #26- მომხმარებელთან ურთიერთობის წარმართვა სავაჭრო ობიექტში

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯში „იბერია“ საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა ცოდნის შეფასების წესი

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ დირექტორის

ბრძანება # 186

ქ. ქუთაისი, 25.08. 2014.

პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

„პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის # 121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის“ საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას“ „პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასების წესი“ (დანართი 1);
2. ბრძანების ასლი საჯარო გაცნობის მიზნით განთავსებულ იქნას კოლეჯის ვებ გვერდზე;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელისმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დ. უზნაძის 52) ან/და საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, ვ. კუპრაძის #11)

დირექტორი:

/თ. ლოსაბერიძე/

დანართი 1
დამტკიცებულია
სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი
„იბერია-ს“ დირექტორის
2014 წლის 25 აგვისტოს
186 ბრძანებით

1. „პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესის“ შემუშავების საფუძველი და გამოყენების სფერო.....	2
2. ტერმინთა განმარტებები	2
3. ზოგადი დებულებები	3
4. სასწავლო დისციპლინისათვის გამოყოფილი კრედიტების მიღების წესი	4
5. დასწრება საკონტაქტო საათებზე	4
6. დასკვნითი გამოცდის ჩატარების წესები	4
7. წერითი გამოცდის ჩატარების სპეციფიკა	5
8. ელექტრონული ფორმით გამოცდის ჩატარების სპეციფიკა	6
9. გამოცდაზე ქცევის ზოგადი წესები	6
10. დამატებითი გამოცდების ორგანიზების სპეციფიკა	8
11. ზოგადი დებულებები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით	8
12. შუალედური შეფასების სახეები	9
13. დასკვნითი გამოცდა	10
14. დადებითი და უარყოფითი შეფასებები.....	10

1. წესის შემუშავების საფუძველი და გამოყენების სფერო

1.1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“, ამერიკული და ევროპული საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2014 წლის 30 იანვრის N40735 წერილისა და სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

1.2. ეს დოკუმენტი ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტისათვის განსაზღვრული კრედიტების მიღების მიზნით სტუდენტის მიღწევების შეფასების წესებს;

1.3. ამ წესების გამოყენება სავალდებულოა დაწესებულების ნებისმიერი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, პროფესიული კრედიტი.

2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;

2.3. სტუდენტი – პირი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით და დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ნებისმიერი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, პროფესიული სტუდენტი;

2.4. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ;

2.5. სწავლის შედეგები – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

2.6. პროგრამის კომპონენტი- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსი, მოდული, სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა.

2.7. საგამოცდო კომისია – დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი, რომელიც ორგანიზებას უწევს დასკვნითი გამოცდის ჩატარებას;

2.8. შემფასებელი – საამისოდ კომპეტენტური პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც ამ დოკუმენტით დადგენილი წესით აფასებს პირის მიერ სწავლის შედეგების ფლობას. ელექტრონული ფორმით გამოცდის ჩატარებისას – საგამოცდო პროგრამა.

3. ზოგადი დებულებები

3.1. ერთი კრედიტი ასახავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

3.2. ერთი ასტრონომიული საათი თეორიისა და სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის ერთი საკონტაქტო საათის შემთხვევაში მოიცავს 45 წუთიან ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას და 5 წუთიან (ერთ 20 წუთიან – სასადილო) შესვენებას.

3.3. კრედიტის მისაღებად სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს:

ა) ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) გამოცდების ჩაბარებას.

3.4. კრედიტის მისაღებად სტუდენტის სასწავლო საქმიანობა პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს:

ა) პრაქტიკულ მეცადინეობას

ბ) გამოცდის ჩაბარებას;

3.5. პროგრამის კომპონენტებში სტუდენტის სასწავლო საქმიანობა განისაზღვრება სილაბუსებით;

3.6. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი კალენდარული წლის განმავლობაში არ შეიძლება აღემატებოდეს 75 კრედიტს.

4. სასწავლო დისციპლინისათვის გამოყოფილი კრედიტების მიღების წესი

კრედიტის მიღება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

5. დასწრება საკონტაქტო საათებზე

5.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ საკონტაქტო საათებზე და პრაქტიკაზე დასწრება სავალდებულოა.

5.2. საპატიო-არასაპატიო მიზეზით პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 10%-ის ოდენობით გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს უწყდება რეგისტრაცია პროგრამის მოცემულ კომპონენტზე და მას ეს კომპონენტი გასავლელი აქვს თავიდან, კოლეჯის მიერ დადგენილი პირობებით და წესით.

6. დასკვნითი გამოცდის ჩატარების წესები

6.1. დასკვნით გამოცდების ჩატარებას ორგანიზებას უწევს საგამოცდო კომისია;

6.2. გამოცდის შედეგებს აფასებს შემფასებელი. როგორც წესი, შემფასებელი არის სასწავლო კურსის მასწავლებელი ან კომპიუტერული პროგრამა, თუ დირექტორის ბრძანებით სხვა შემფასებელი არ დაინიშნება;

6.3. საგამოცდო კომისიის შემადგენლობას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს დირექტორი;

6.4. გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც შეყვანილნი არიან უწყისში;

6.5. გამოცდაზე დასაშვებად გამოსაცდელმა თან უნდა იქონიოს პირადი ბარათი (სტუდბილეთი) ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – პირადობის მოწმობა და წარუდგინოს საგამოცდო კომისიის წევრს;

6.6. გამოცდების პერიოდში ადმინისტრაცია უზრუნველყოფს გამოცდაზე ქცევის წესების განთავსებას საჯარო გაცნობისთვის;

6.7. გამოცდაზე გამოცხადებით სტუდენტი ადასტურებს, რომ ის იცნობს გამოცდის ჩატარების წესებს;

6.8. სათანადო დასაბუთებით, გამოცდის დაწყებამდე, სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს საგამოცდო კომისიის წევრის აცილება;

6.9. გამოცდაზე დაგვიანება განიხილება გამოცდაზე გამოუცხადებლობად;

6.10. საგამოცდო პროცედურის გაპროტესტება შესაძლებელია წერილობით, იმავე დღეს, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესთან;

6.11. გამოცდის შედეგების გაპროტესტება შესაძლებელია შემფასებელთან, ხოლო ელექტრონული ფორმით გამოცდის ჩატარებისას – სასწავლო კურსის მასწავლებელთან, შედეგების გამოსაცდელისათვის გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს, წერილობით.

7. წერითი გამოცდის ჩატარების სპეციფიკა

7.1. საგამოცდო დარბაზი იღება და რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე 20 წუთით ადრე. რეგისტრაციის დრო არ შედის საგამოცდო დროში;

7.2. გამოსაცდელი საგამოცდო კომისიის წევრს წარუდგენს პირად ბარათს, ხელს აწერს უწყისს და იკავებს კუთვნილ ადგილს დარბაზში. პირადი ბარათი გამოცდის მსვლელობისას უნდა მოთავსდეს მაგიდის კუთხეში;

7.3. გამოსაცდელს გაეცნობათ გამოცდაზე ქცევის წესები;

7.4. გამოცდაზე ქცევის წესების გაცნობის დაწყების მომენტიდან გამოსაცდელეები დარბაზში აღარ დაიშვებიან;

7.5. საგამოცდო მასალებზე სახელისა და გვარის დაწერა აკრძალულია. ასეთი ნაშრომი არ გასწორდება. გამოსაცდელის იდენტიფიკაციისათვის გამოიყენება მხოლოდ პირადი ნომერი. ის უნდა დაწეროს გამოცდისას გამოყენებულ ყველა ფურცელს (მათ შორის სავარჯიშო ფურცელს), მისი მიღებისთანავე, საამისოდ გამოყოფილ გრაფაში. თუ ასეთი გრაფა არაა, ნომერი იწერება ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში. ნაშრომები, რომელზეც არაა ან არასწორადაა მითითებული პირადი ნომერი, არ გასწორდება და არ შეფასდება;

7.6. გამოცდაზე დაუშვებელია ქაღალდის შეტანა. საჭიროების შემთხვევაში საანგარიშოდ გამოიყენება საგამოცდო მასალის ცარიელი ადგილები ან დამატებითი ფურცელი მოეთხოვება გამომცდელს;

7.7. გამოცდაზე გამოყენებული ყველა (მ.შ. „შავი“) ფურცელი უნდა ჩაბარდეს კომისიას გამოცდის დასრულებისას;

7.8. განმარტებების მოთხოვნა გამოცდის მსვლელობისას, საგამოცდო საკითხის შინაარსთან დაკავშირებით, დაუშვებელია. თუ გამოსაცდელი მიიჩნევს, რომ საკითხის ფორმულირება არასწორია, ბუნდოვანია ან ის არ უნდა შედიოდეს საგამოცდო პროგრამაში, გამოსაცდელმა ეს უნდა გააპროტესტოს გამოცდის დასრულების შემდეგ, 6.10. პუნქტით დადგენილი წესით;

8. ელექტრონული ფორმით გამოცდის ჩატარების სპეციფიკა

8.1. საგამოცდო დარბაზში გამოსაცდელეები დაიშვებიან კომპიუტერების არსებული რესურსის გათვალისწინებით, მათი საგამოცდო ცენტრში გამოცხადების რიგითობით. მას შემდეგ, რაც კომისია გამოიძახებს შემდეგ გამოსაცდელს და ცენტრში არც ერთი გამოსაცდელი არ იქნება დარჩენილი, გამოცდა დასრულებულად ჩაითვლება.

8.2. საგამოცდო კომისიის წევრს გამოსაცდელი წარუდგენს პირად ბარათს და იკავებს მითითებულ ადგილს დარბაზში. პირადი ბარათი გამოცდის მსვლელობისას უნდა მოთავსდეს მაგიდის კუთხეში, კომპიუტერის მონიტორთან.

8.3. საგამოცდო კომისიის წარმომადგენლის თანხმობისას გამოსაცდელს პროგრამაში შეჰყავს საგნის დასახელება, რაშიც აბარებს გამოცდას და პირადი ნომერი (მხოლოდ ციფრები), რის შემდეგაც იწყება გამოცდა.

8.4. საგამოცდო დროის გასვლის შემდეგ სისტემა ავტომატურად დაიხურება;

8.5. გამოცდის დასრულებისას გამოსაცდელი ვალდებულია ხელის აწევით მოუხმოს საგამოცდო კომისიის წევრს. კომისიის წევრი და გამოსაცდელი ერთად ნახულობენ გამოცდის შედეგს და საკუთარი ხელმოწერებით აფიქსირებენ უწყისში.

8.6. სისტემა გამოსაცდელის დაშვებას მოცემულ გამოცდაზე უზრუნველყოფს მხოლოდ ერთხელ. ამიტომაც გამოცდის მსვლელობისას გარეთ გასვლა დაუშვებელია;

8.7. კომპიუტერული სისტემის ტექნიკური გათიშვის შემთხვევაში საგამოცდო პროცესი წყდება და გამოცდა იწყება თავიდან.

9. გამოცდაზე ქვევის ზოგადი წესები

9.1. გამოცდაზე დაუშვებელია ქუდების, ყურსასმენების, ხელთათმანების ტარება;

9.2. ყველა პირადი ნივთი (ჩანთები, პალტოები და სხვა) უნდა ჩაბარდეს რეგისტრაციისას ან მოთავსდეს გამოსაცდელის სკამის ქვეშ.

9.3. გამოცდაზე კალკულატორის ან ნაბეჭდი მასალის გამოყენება დაიშვება მხოლოდ სასწავლო კურსის მასწავლებლის გადაწყვეტილებით.

9.4. დაუშვებელია პორტატული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება კალკულატორად.

9.5. ნებისმიერი ელექტრონული საშუალება (მობილური ტელეფონი, სხვა სახის პორტატული საკომუნიკაციო საშუალებები, ხმის აღწარმოების საშუალებები, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვა) უნდა გამოირთოს.

9.6. ელექტრონული საშუალებებით სარგებლობის, ან მობილურის დარეკვის შემთხვევაში მეთვალყურე ვალდებულია გამოსაცდელს დაატოვებინოს გამოცდა;

9.7. გამოცდის მსვლელობისას მოწვევა ან მოსაწვევად გასვლა კატეგორიულად აკრძალულია;

9.8. გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ წყლის ან გამაგრილებელი სასმელის შეტანა ინდივიდუალურად.

9.9. გამოცდაზე საკვების შეტანა და მოხმარება (მათ შორის სადეჰი რეზინის) კატეგორიულად აკრძალულია, გარდა სამედიცინო მიზნებისა, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს კომისიას;

9.10. გამოცდის მსვლელობისას დაუშვებელია:

ა) ნებადართულის გარდა სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება;

ბ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება;

გ) კონსპექტების, "შპარგალკების", წიგნების და სხვა მასალების გამოყენება;

დ) სხვა სტუდენტის ტესტში ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა;

ე) საკუთარი ნაშრომის ან ქალაქის ჩვენება ან გადაწოდება სხვა სტუდენტისათვის ან ასეთი მოქმედების ხელშეწყობა;

ვ) საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება;

ზ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;

თ) სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა დარბაზის გარეთ, გამოცდის პერიოდში;

ი) საგამოცდო მასალების გადაწერა, გადაღება მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით;

კ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება;

ლ) გამომცდელის მითითებების შეუსრულებლობა, მითითებების გაპროტესტება გამოცდის მსვლელობისას ან გამომცდელის შეურაცყოფა;

მ) საგამოცდო მასალებზე ყალბი ინფორმაციის მითითება;

ნ) საგამოცდო კომპიუტერის გამოყენება სხვა მიზნებისათვის, გარდა გამოცდის ჩაბარებისა, აგრეთვე მისი თვითნებურად გამორთვა და გადატვირთვა ან სხვა ოპერაციების შესრულება.

9.11. გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, გამოცდის მიმდინარეობის დროს, მეთვალყურე ვალდებულია გამოსაცდელს დაუყოვნებლივ დაატოვებინოს საგამოცდო დარბაზი და არსებობის შემთხვევაში შეინახოს წესების დარღვევის მტკიცებულებები, გამოცდის დასრულებამდე. ამ მოქმედებათა განხორციელება ხელს არ უნდა უშლიდეს გამოცდის მიმდინარეობისას სიმშვიდის შენარჩუნებას.

10. დამატებითი გამოცდების ორგანიზების სპეციფიკა

10.1. შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შედეგის მიღების, გამოცდაზე გამოუცხადებლობის, დასრულებამდე გამოცდის დატოვების ან მიღებული დადებითი შედეგის

გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტს მოთხოვნის საფუძველზე საშუალება ეძლევა ერთხელ გავიდეს დამატებით შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე.

10.2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე, დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, შედეგების გაცნობიდან არანაკლებ 10 დღეში.

10.3. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება საბოლოოა და მისი გადაბარება დაუშვებელია.

10.4. დამატებითი დასკვნითი გამოცდის შედეგების გათვალისწინებით საბოლოო შეფასება Fx აღარ იწერება, სტუდენტი არ ფასდება და ის ვალდებულია სასწავლო კურსი თავიდან გაიაროს.

10.5. დამატებით დასკვნით გამოცდაზე დარეგისტრირების შემდეგ, შეუფასებლობის შემთხვევაში (არ გამოცხადება, გამოცდის დატოვება) სტუდენტი ვალდებულია სასწავლო კურსი თავიდან გაიაროს.

10.6. დამატებით გამოცდაზე გასასვლელად სტუდენტი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციას, სადაც მიუთითებს თუ რომელი გამოცდის ჩაბარება სურს;

10.7. მიღებული განცხადებების საფუძველზე საგამოცდო კომისია ადგენს საგამოცდო მასალებს;

10.8. გამოცდაზე გამსვლელთა განაცხადების რეგისტრაცია უნდა დასრულდეს გამოცდის ჩატარებამდე 3 სამუშაო დღით ადრე.

11. ზოგადი დებულებები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით

11.1. სტუდენტის მიერ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება მრავალკომპონენტური სისტემით და დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

11.2. შეფასების კრიტერიუმები ცალკეული სასწავლო კომპონენტისათვის უნდა შედგეს მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად და დეტალურად გაიწეროს სილაბუსში.

11.3. შეფასების ფორმა უნდა უზრუნველყოფდეს მისაღწევი სწავლის შედეგების ობიექტურ შეფასებას.

11.4. პროგრამის კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

11.5. 100 ქულა უნდა გადანაწილდეს შეფასების ყველა კომპონენტზე. ქულების გადანაწილება ხდება სილაბუსით.

11.6. ნებისმიერ სასწავლო კომპონენტში შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

11.7. გამოცდის შედეგების გაცნობის და საჭიროების შემთხვევაში გაპროტესტების საშუალება სტუდენტს უნდა მიეცეს არაუგვიანეს მისი ჩატარებიდან ორი სამუშაო დღისა.

11.8. გამომცდელი ვალდებულია, გაპროტესტების შემთხვევაში სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა.

11.9. თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების საბოლოო შეფასება ფორმდება შეფასების უწყისით;

11.10. სტუდენტთა დასწრება აღირიცხება აღრიცხვის ჟურნალის შესაბამის გრაფებში .

12. შუალედური შეფასების სახეები

12.1. შუალედური შეფასება შესაძლოა ითვალისწინებდეს:

- სტუდენტის მიმდინარე შეფასებას;

- შუალედურ გამოცდას.

12.2. შუალედური შეფასება შეიძლება იყოს მაფორმირებელი ანუ განმავითარებელი ან შემაჯამებელი ფუნქციის მატარებელი;

12.3. სასწავლო კურსის მასწავლებელი ვალდებულია შუალედური შეფასების შედეგების ანალიზის გზით სტუდენტს სისტემატურად გააცნოს საკუთარი პროგრესი, რაც სილაბუსით უნდა იყოს გათვალისწინებული.

12.4. თუ შუალედური შეფასება შემაჯამებელია, ის უნდა აფასებდეს სილაბუსით განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე დასრულებულ სწავლის შედეგს. ამ შემთხვევაში ის შუალედურ გამოცდას წარმოადგენს.

12.5. სტუდენტის მიმდინარე შეფასება უნდა მოიცავდეს როგორც საკონტაქტო საათებზე ჩართულობის, ისე დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას და ატარებდეს სისტემატურ ხასიათს. ეს შეფასება ობიექტურად უნდა ასახავდეს სტუდენტის როგორც ლექციაზე დასწრების/სამუშაო ჯგუფში მუშაობის, ისე დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყოფილი საათების შესრულების შედეგებს.

12.6. შუალედური გამოცდის შედეგი დადებითად ითვლება, თუ სტუდენტმა გადალახა ამ გამოცდისათვის გამოყოფილი ქულების 51%-იანი ზღვარი.

12.7. იმ სასწავლო კურსის შეფასებაში, რომლის მოცულობა არ აღემატება 1 კრედიტს, ასევე პრაქტიკის კომპონენტში, შესაძლოა შუალედური გამოცდა არ იქნას გათვალისწინებული.

12.8. ამ მუხლის დებულებები დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებასან დაკავშირებით არ ვრცელდება პრაქტიკის კომპონენტების შეფასებაზე.

13. დასკვნითი გამოცდა

13.1. დასკვნითი გამოცდა ატარებს შემაჯამებელ ხასიათს;

13.2. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების აუცილებელი წინაპირობაა შუალედურ გამოცდაში/გამოცდებში დადებითი შეფასების მიღება;

13.3. დასკვნითი გამოცდის შედეგი დადებითად ითვლება, თუ სტუდენტმა გადალახა ამ გამოცდისათვის გამოყოფილი ქულების 51%-იანი ზღვარი. უარყოფითი შედეგი საბოლოო შეფასების მიზნებისათვის არ გაითვალისწინება;

13.4. დაუშვებელია სტუდენტის საბოლოო შეფასება დასკვნით გამოცდაზე დადებითი შედეგის მიღების გარეშე;

14. დადებითი და უარყოფითი შეფასებები

14.1. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე
შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში სსიპ-
საზოგადოებრივ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 14.08.2015 წლის #159 ბრძანებით
სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია“ მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული
პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრო
სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N___

„14“ 08 2015 წ.

ქ. ქუთაისი

სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია“ მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული
პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის დამტკიცების

შესახებ

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010
წლის 1 ოქტომბრის 99/N99 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 10 ივლისის №70/ნ ბრძანების
საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესში“, რომელიც ეხება მოდულური

პროგრამის შემთხვევაში კრედიტების განაწილებასა და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასებას.

„ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ 4¹ მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების 4¹ მუხლის, „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის №492 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის“ №3 დანართისა და სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ წესდების მე-5 მუხლის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია“ მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი თანახმად დანართისა;
2. ბრძანების შესაბამის პირთათვის კანონმდებლობით დადგენილ წესით გაცნობა და გამოქვეყნება უზრუნველყოს კოლეჯის საქმისმწარმოებელმა;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში;

დირექტორი

თინათინ ლოსაბერიძე

დანართი

სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია“ მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული

პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ.
6. მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი დაიშვება მომდევნო მოდულზე სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში თუ ამ პერიოდში არ დგება მოცემული მოდულის თუნდაც ერთი სწავლის შედეგის დადასტურების საკითხი.
7. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
8. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და პროგრამით გათვალისწინებული ყველა არჩევითი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.
9. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ დირექტორის პრეროგატივას, შესაბამისი მოდულური პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.
10. მოდულური პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის საფუძველზე, კოლეჯის მიერ შესაბამისი მოდულური პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში.